



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თაქთაქიშვილი გიორგი მიხეილის ძე

თაქთაქიშვილი გიორგი მიხეილის ძე (14. IV. 1902, განჯა, - 16. XII. 1977, თბილისი), მუსიკოსი (ვიოლონჩელისტი) და პედაგოგი. საქართველო. ხელოვნ. დამს. მოღვაწე (1946), პროფესორი (1949). 1926 დაამთავრა თბილ. სახელმწ. კონსერვატორია. აქვე, ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, დაიწყო პედ. მოღვაწეობა. 1925-38 კონსერვატორიასთან არსებული მუშფაკის დეკანი იყო, 1932-33 - კონსერვატორიის დირექტორის მოადგილე. 1944-იდან მოღვაწეობდა კამერული ანსამბლის კათედრაზე (1949-77 ამ კათედრის პროფესორი). თ. იყო „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ შექმნის ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი (1922), თბილ. მუს. ათწლეულის (ამჟამად გ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო გიმნაზიის) დირექტორი (1938-49). იყო პირველი ქართ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის წევრი (1928-38). იკვლევდა ქართ. საშემსრულებლო ხელოვნების ისტ. საკითხებს. ეწეოდა ლიტ. მოღვაწეობასაც.

თხზ.: ვეგენი მიქელაძე, თბ., 1968 (თანაავტ. გ. ნულუკიძე); სკოლა ვიოლონჩელოსათვის, ტ. 1-2, თბ., 1959-60.
